

სასოფლო გზეთი

გ ა ზ ე თ ი ს ო ფ ა ნ ა :

გაზეთით თფილისში და გარეშე ადგილებში:

ერთი წლის — 4 მ.	— 3 მ. —
ნახევარი წლის — 3 —	— 2 მ. —
ნახში თვის — 1 მ.	— 1 მ. —

მკსუე წელიწადი

გ ა მ ო დ ი ს ო ე ე შ ი ო რ ა ჯ ა რ

№ 20 შაბათი

რ

30 ოქტომბერს, 1872 წ.

გ ა ნ ო ს ა დ ე ბ ა

სასოფლო-გაზეთის გამაგებებზე

1873 წელს

მოძაველს წელს «სასოფლო-გაზეთი» გამოვიღებე პროგრამით და რედაქცია ედგება წასულ წლებზე უკეთ ასრულოს თავის მოვალეობა.

სხელის მოწერა «სასოფლო-გაზეთის» შეიძლება: თფილისში «სასოფლო-გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კამ. სტამბაში, ბებუთოვის სახლში ხანის ქუჩაზე.

ქუთაისში — გერასიმე კლანდარის შვილითან (სასულიერო-სასწავლებელში) და ნ. ნიკოლაძის სახლებში სილაზე.

თფილისსა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисе въ контору Редакцїи «Сельской Газеты» на Ханской улицѣ, Д. Бобынова.*

სელმხსწერი ფასი:

ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილად გაუგზავნელათ. გაგზავნილი ლებში — — — — — 3 მან. — — 4 მან.

ნახევარის წლისა — — — — — 1 მ. 50 კ. — 2 მ.

ხელის მოამწერლებს უმორჩილესათ ესთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვიფარონ თვისი სხელი გვარი და ადგილ-სამყოფი.

ს ს ს ს ს ს ს ს ს ს ს

— სოფლის მამასხადისებს და მისამართლებს. — დროებითდგან: სასოფლო, პურის მადანობეზე. — სოფ. კოხანიდგან. — ბაშის ვახუშტიელთაში. — სამართლის წიგნის განმარტებაში. — განცხადებას სასოფლო-გაზეთის. — განცხადებას დროებისა.

სოფლის მამასხადისებს,

და მისამართლებს.

წელს ჩვენს ქვეყანას დიდი უბედურება მოუვიდა. რაც საუცეთესო ტყეები იყო ქართლში: საციციანოში, ბორჯომისკენ და მანგლისსკენ, სულერთიანათ დაიწყო მანამდინაც დიდი ხანა ყოვლის მხრით ისმოდა ჩივილი, საქართველოში უთაბოლოო ტყეების კრახე. მოტიტელად, მთები გეგვარანდა მხარე, წყლებმა საშინლათ იკლეს. ამასგარდა ავღრებში მდინარეებმა უტმათ იწყეს გაღიღებმა და ქალეზე ყანების წალექვა. ნახუშეგერის ერთბაშათ დალუზვა. ამასგარდა ჰავის მივცთ თავისუფალი დენა, დატრიალდა ისეთი ქარი, რომ რაც წყლებს ვადურჩა წაუხდენელი, ქარმა ამოაშრო და ამოავლო. სულ ესეები დაგვმართა ტყეების მოუსასრებლათ ქარამ. წელს ამ საზოგადოთ მოუკვეთელს უბედურება.

ქ. მარტვილის რაიონის
სახელმწიფო რედაქცია
ბიბლიოთეკა

რებას ცეცხლი მოემატა და სულ ერთიანთ დანთქა ის საუკეთესო ტყეები, რომელნიც ჯერ კიდევ უფროს კაცის-ხელს ვადაჩრამოდა. საკირეელია ამ შემთხვევაში ჩვენი სოფლის ხალხის უზარუნელობა და განსაკუთრებით მოხელეებისა. მამასახლისეში და სოფლის მოსამართლეები თითქოს იმისთვის დაუყენებია ხალხს უფროსათ, რომ სამამასახლისო კანცელირიაში ისინი მუხლ მოკეცილები, აზოლონ ჩიბუხები და ცინც მოვლენ ისინი გასამართლონ და ისიც მრუდთ, განა ეს არის იმათი მოვალეობა?.. განა ამ პირობით ირჩევდა იმათ სოფლის ხალხი, რომ უწინდელს ბატონებს კიდევ ახალი ბატონები მამასახლისების სახელით მიმატებოდა! სოფლის მოხელეების უყურადღებობა იმდენზე ადის, რომ თითქოს ისინი მართა შტრაფის ფულის გადასახდევინებლათ ამოეჩიოხათ. ამას გარდა დიდი ხანი არ არის, რაც რკინის გზა ვაიხსნა, ეს მეტად სამადლო საქმე ჩვენი აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის ხელის გასამართავით და რას ვხედავთ? სოფლის ხალხს თითქოს სათამაშოთ მიაჩნია. ზოგი კეებს უღებს რელსებს, ზოგი ხეებს აგდებს ზედ. საცა დაშლილია რკინის გზაზე გადასულა, იქ ნახირი გადაჰყავთ, ურბით გადადიან-გაძლიან და გზას ახდენენ. წარმოადგინეთ ამისთანა საქმეს რა საშინელი უბედურება მოსდევს. მაშინა, კაცებით დატვირთული იმ ალაგებზე, საცა ქვა და ხეები დაგდებული, ან რკინის ზოლია წამხდარი, სცდება გზას, ვადაბრუნდება და ზოგს კისერი ტყდება, ზოგი სულაც კვდება. თუ მამასახლისები ამასაც ყურადღებას არ მიაქცევენ, მაშ სხვა რაღა უნდა მოვიხილოთ იმათგან? ამას წინეთ მთავრობისაგან გამოვიდა განკარგულება როგორც სახაზრო და კერძო პირების ტყეების დაცვაზე, ისე რკინის გზის ყურის გდებაზე. მთავრობა დარწმუნდა რომ მამასახლისები და მოსამართლეები რიგაინს ყურადღებას არ აქცევენ, არც ტყეების შენახვას და არც რკინის გზას. სასოფლო გაზეთის მეთექვსმეტე მეჩვიდმეტე და მეცხრამეტე ნომრებში იყო დაბეჭდილი

სამართლის მუხლები, რომლებსი ძალითაც დაისჯებიან ისინი, ვისაც ან ცეცხლის გაჩენა დაბრალდება და ან რკინის გზის გაფუჭება. მაგრამ ამ შემთხვევაში სოფლის მამასახლისებსა და მოსამართლეებს კიდევ უფრო ფიცხი წყრომა მოეღისთ მთავრობისაგან. ენის ცობა ამიერითგან მიინც თუ ყური არ უგდეს ამ საქმეს, ძალიან დიდი სასჯელი მიადგებათ. ამისთვის უფრჩვეთ სოფლის მამასახლისებს და მოხელეებს, რომ იმათ წაიკითხონ და, თუ თვითონ კითხვა არ ციოდენ, ვისმე წაიკითხონ შემოხსენებული «სასოფლო გაზეთის» ნომრებში რაც მთავრობის განაკარგულება და კანონის მუხლებია დაბეჭდილი და ისე მოიქცენ შემდეგში.

დღრეობიდანა

სასოფლო პურის მალაზიები

სექტემბრის დაბლევს ერთმა ტყერის გუბერნიის ერობის წევრმა, სახელად მაქსიმოვიჩმა, შეიტანა კაშინის უეზლის ერობაში წინადადება, რომელიც ბერის მხრით შესანიშნავი და ჩვენთვისაც ყურადღების ღირსია. ეს წინადადება სასოფლო პურის მალაზიებს შეეხება. უფ. მაქსიმოვიჩს მოჰყავს რუსეთის სასოფლო პურის მალაზიების ისტორია, იმპერატორის ჰეტრე დიდიდგან დაწყებული, და ამტკიცებს, რომ ამ მალაზიებს ხალხისათვის, შიმშილობის დროს, იმდენი სარგებლობა არ მოუტანიაო, რამდენიც იმედი ჰქონდათო.

ამ აზრის დასამტკიცებლად, უფ. მაქსიმოვიჩს შემდეგი საბუთები მოჰყავს: 1) სოფლისათვის ძლიერ გასაჭირია პურის მალაზიების მოკლე, იმას ძვირათ უფლება ჯერ ამენება შენობისა მალაზიისათვის და მერე იმის შეკეთება. ბევრი პური ფუჭდება: თუ ღვება, და თუ თავგები სჭამენ; 2) პური, რომელიც მალაზიაშია შინახული, მკვდარი კაპიტალია, ე. ი. სარგებელი არ მოაქვს; ამას გარდა შეიძლება ის ან ცეცხლისაგან დაიწვას, ან წყლისაგან წახდეს, ან მოიპაროს ვინმე და


სწ. 4) თითქმის შეუქლებელია, რიგაინათ ყური უფდოს სოფელმა იმ კაცს, რომელსაც მალაზია ახარია.

აი, ამ მიზეზების გამოისობით, სასოფლო პურის მალაზიები, უფ. მაქსიმოვიჩის სიტყვით, ძლიერ იშვიათად დახმარება ხალხს, შიმშილობისა და პურის სიძვირის დროს.

თვითონ წინადადება უფ. მაქსიმოვიჩისა აი რაში მდგომარეობს: ის ამბობს, რომ, რადგანაც პურის შენახვა ძნელია და შვირათ გამოუღვარი, ამისგანა ჩვენ ისეთი რამე უნდა გვქონდეს, რომელიც არც წახდება და პურის ნაკლებობის დროს დაგვეხმარებაო. ეს არის ფულიო. ფულის შენახვისათვის სოფელს არავითარი ხარჯი არ მოუწდება და იმის ყურის გდებაც ადვილია; სოფელს შეუძლია შეიტკოს, თუ როგორ დახარჯა ანუ დაარჩია, შიმშილობის დროს, ფული იმ კაცმა, რომელსაც ის ჩაბარებული ჰქონდა.

ამგვრათ უფ. მაქსიმოვიჩი ურჩევს რუსეთის ერობებს, რომ, პურის მალაზიების გამართვის ნაცვლათ, სოფლებში ფულები მოკრიბონ; განსაკუთრებით იმისთვის, რომ ამ ფულებით გლვებმა, შიმშილობის დროს, პური იყიდონ.

ეს წინადადება ბერის მხრით ყურადღების ღირსია, როგორც ზევით ვსთქვით; მაგრამ უნაკლებოა არც ეს არის. პირველი გაკირება ამ გვართ საქმის წყაყანის დროს წარმოადგება იქილამ, რომ გლვებს ფულის მოგროება ბევრათ უფრო გაუჭირდებათ, ვიდრე პურისა. ეს მოსახრება განსაკუთრებით ჩვენშია ყურადღებაში მისაღები: ვინ არ იცის, რომ ჩვენ გლვებს, რომელიც სადმე მიკრუებულ სოფელში დგას, ფულის შოვნა ძალიან უჭირს, რადგან საუჭრო პუნქტამდე მისვლა იმას, უგზობის გამო, ძლიერ გაძნელებული აქვს. გლვებს, რასაკირეელია შეუძლია ის პური, რომელიც სასოფლო მალაზიაში უნდა შეეტანა, გაჰყიდოს და ფული ჩასდოს სასოფლო კასაში, ან ბანკში და შიმშილობის დროს მოიხმაროს. მაგრამ



როგორ მოახერხოს ეს ჩვენებურმა გლეხმა, რომელიც 20-40 ევრსზე დგას, ესთქვათ, ქალაქადმი უფ. მაქსიმოვიჩი ამბობს, რომ პურის მალაზიების შენახვა ძნელია და ფულს შენახვა კი ადვილია. ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ფულის დახარჯვაც ძლიერ ადვილია, თუ სანდო კაცებს არ გვქაჩაზარებულო; და თუ სანდო კაცები იქნება, მაშინ ცუდათ არც პური დიხარჯება.

ამას გარდა, პურის სიძვირისა და შიმშილობის დროს, დამუყული გლეხი ფულს სომ ვერ შესტამს. ამ ფულით იმან, უძველია, პური უნდა იყიდოს. მაგრამ რომ არ იქნება პური, რას იზამს? რაში დაეხმარება იმას ამ შემთხვევაში შენახული ფული? მართალია, იშვიათად მოხდება, რომ მთელს ვრთსა და იმავე წელიწადს შიმშილობა მოხდეს; მაშა სადამე, თქვენ მეტყვიით, რომ, როდესაც ერთს რომელსამე მაზრაში ცუდი მოსავალი იქნება, ამ მაზრის გლეხებს თავისფულეებით მერავე მაზრაში შეუძლიანთ პური იყიდონო მაგრამ ისიც მოიფიქრეთ, ადვილია თუ არა, მაგალითად ჩვენმა, გლეხისათვის ერთი მაზრიდამ ან ერთი გუბერნიდამ მეორეში წასვლა პურის საყიდლათ? ადვილიც რომ იყოს, გსნა ჩვენებურსოფელს, ესთქვათ, იმდენი ფულის მოგროვება შეუძლია, რომ, შიმშილობისა და პურის სიძვირის დროს, იმან შენახული ფულეებით თავი დაირჩინოს? ძალიან იშვიათად.

ყველა ეს მოსახრება რომ მივიღოთ ახედველობაში, მაშინ, მაგონია, მკითხველი დაგეთანხმება, რომ სასოფლო პურის მალაზიის გამოუღდებობა უფ. მაქსიმოვიჩმა ვერ დაამტკიცა და ამის გამო იმის მოსკობაც სოფელელ გლეხს სარგებლობას არ მოუტანს. არცერთს კარგათ გამოართულს პურის მალაზიაში პური არასოდეს არ წახდება, რადგანაც მოძველებმა თუ არა იმწამვე უნდა გაიყიდოს და მის ნაცულად სოფელმა ახალი პური უნდა შეიზახოს. არც სხვანირა დაიკარგება და დახარჯება პური, თუ სოფელ-

მა კარგი და პატიოსანი კაცები ამოარჩიან, მალაზიის შენახავად. რასაკირველია, ძალიან კარგი იქნება, რომ პურის მალაზიათან სოფელმა პატარა ბანკი შეადგინოს. იმ შემოსავალიდამ, რომელიც თვითონ მალაზიას დარჩება პურის გაყიდვისაგან, სასოფლო ბანკი და პურის მალაზია ამ შემთხვევაში ხელს მოუწყობენ და დაეხმარებიან ერთმანეთს...

ს. მ.

სოფ. ბანკად, ნოემბრის 5-ს.

სოფელი ბანკი მდებარეობს სამკერვლოს ახლოს; მაგრამ საჭიროც არ არის ამ ქუჩაში სახელ-განთქმულ სოფლის მკერვლობაც დახარჯვა, რადგანაც მკითხველი ამის ქაზას და სახელს დახარჯვაში სშირად გაიფიქრებს; იმერეთში ყველა დაწმუნებულია რომ ბანკელები, როგორც ვაჭრები, ისე აგრეთვე ქალები ქურდები არიან, რომ თვალში ბევრს მოგზავნავენ, და დამიხებულ ჩიტ ფრთებს ამოვადისთა. მარჯვე და მოსერესებულ ქურდსე იტყვიან: მძვას ქურდობაში ბანკელი ქურდიც ვერ შეეღარებაო. ბანკელს შეგრელს ისე არ უნდა გაათვიგინოს ხსელში დაქო, როგორც ტუჩას საბატეშია და სს. თუკიტ ახლად-ახლად, რაც მასხანდისობა მოიფიქრს, ცოტა-ცოტათი შემიღრდა აქ ქურდობა, მაგრამ მაღიან ბევრს რომ ძალიან პატარა მოაკლეთ, მისც საქმად ბევრი დარჩება. მოვიყვან ერთს მაგალითს, რომელიდამაც ცნადათ დაინასავთ, თუ როგორ რსტატობით და მოსერესებით ქურდობენ ჩვენს ბანკელები:

ამ მოკლე ხანში ერთმა აჭურბს მცხოვრებმა ამ სოფელში ერთი დუქანი გაშროს; სმას მანეთამდე სურშია დახარჯვა და გერბიანთ განხლად ეს დუქანი. მაგრამ მერე თვეს მოვიდენ ქურდები და ისე გავიღეს ყველაფერი, რომ ორი გროშის საღირსელი საქონელიც ადარ დატოვეს პატრონს. ქურდები ათამდე ყოფილიყენენ. ეს არაფერი; გასკვირველი ის არის, როგორ ეშმაკურად მოუხდენიანთ იმათ ეს ქურდობა: ერთ მთავრის დამეში ქურდებს ერთი მათგანი ქალურათ მოურთავთ და ახლან ცხენსე შეუყვამთ;

სამი კიდევ ცხენსე შექმნადან და წასულან სიმღერით და თოვის სროლით; დახარხნი ეჭვი გვი, ვითომ მაყურები, სიმღერით ვითომ დელოფელს მოშორებით მიქეობდნენ. როდესაც მივიდენ ერთს საყარალო ხსლოდნ *), უარულეები წინ დაუდგენ და ვინაობა ჭიოხს. ერთმა ქურდ-თგანმა უთხრა: ჭეუნ ვინც ვართ, რას დასდევთ, თქვენ ეს გვიხსნათ— დელოფელს და მაყურებს არ ნაუვლან ამ ცხენსე უარულეებს მართალი ეკონათ და თავი დახარხეს. მაყურ-ქურდები მივიდენ სემისხენსეულ დუქანსე, გატყეს ვარები და შიგ მარტო შედუნის შვირდი სასეს. სათელი რომ ახითეს, ბიჭი წყოსტა, მაგრამ მამსითვე შეკრეს, პირს მამსით ვუმეს და ტყავით გაბურღილ მაკვანს თურმე ვუსთე. მერე, როგორც ვსთქვი, გამოატყეს დუქნიდამ ყველაფერი, რაც ვი მოიხრებოდა; ბიჭს თოვი შეკრეს და გუადენ ცხენს, ისეც იმ ხნისი ეშმაკობით; მოპარულ ხიოთს მსითვი დაარტყეს და სამღერითა და ხასარულით თავ-თავის ხსხლში მივიდენ და გაიყვეს საქურდალი.

ერთი ბანკელის ქურდობას იმერეთში აჩვენად დახარჯავენ; ერთს ვადაც ვაჭრს ქურდი შეევიდა თურმე და მუდამ პარავდა საქონელს. როგორ არ უფრთხილავოდა, რამდენი ვარულეები არ დაყენა, მაგრამ მიიტე ვერ მოაპროდა თავიდან ეს ურდი. ბოლოს მოიფიქრა და დღამდ თუ არა, იმან დაეკატა დუქანი და რაც საქონელი ჭქონდა, დუქნის ჭერსე შეაწეო. შეადამეც ქურდი მოვიდა და თითქო სუნით გამოიღნო, სადაც ექვთოთავებად მუდი, პრეშუმის საქონელი და სსვა და სსვა ხითები. რა ჭქანსი ვიბე არა აქვს, რომ მადგას და სასურავიდან ჩამკრეს. იფიქრ, იფიქრ და ბოლოს მოიფიქრა: დაიჭირა კატა; უყან ფესებით გრძელ ჟოსსე მანას და წინა ფესები ვი თავისუფლად გაუშვა; აიყენა ამგვარათ ჟოსსე მამიელი კატა და სასურავს ქვეშ, ჭერსე შეუშვა. კატამ იმწამსსე წინა ფესები მოხლდა მუდის ნაჭრებს და მაგრათ ჩააჭირა შიგ ბრჭყალები. ქურდმა გამოსწია ჟონი და გამოიყენა კატა, რომელსაც მუდის ნაჭერი ჭირა ბრჭყალებში და მოათრევა... ამხანათ იმან გამოზიდა ჭერიდამ ყველაფერი და მერე დღეს დუქნის პატრონი დიერ



გავერკეული დაწნა—სად გაქრა ჩემი საქონელი, ჩუქრადს შემოსვლა ანდა არ ეტყობა არც ჭერს და არც სასურჯანსა?!

ეს ჩუქრადი ბნელი გასდგა. ბერი ამისთანა მსატკურთ ჩუქრადს მოუხდინათ მეგვრებსა, რომელმაც მათი გამწიანსე ჭკუა და მოსურსებს სხანს. გინ იგის, რადენ ნაყოფს შიგნის ეს იმათი ჭკუა და მოსურსებს, რადენსე სხვა უფრო სასარგებლო მამართლებს მთევს იმას...

თეოფილე განდევნილი

ბამბის ავთიეფობანი

ხუთა პატარა მწერი ძალიან ზიანს აძლევს ბამბის მცენარეს, ხანდახან სრულებით გააფუჭებენ ხოლმე—ასე, რომ ცარიელი დარჩებოდა დარჩება ხოლმე; ეს მწერები არიან: ტილი, მჭრელ-ტილი, ბამბის ქია, ან ჩრჩილი, ჯაჭუჭკუა ქია და ნაყოფის ქია.

ტილს ქველა კარგათ იცნობს როგორი მწერიც არის. ეს არის პატარა ყოძიანი, ეს ტილი უჩნდებათ პატარას, ჯერეთ ისე ნორჩ მცენარეებს, უჭრო იმისთანებს, რომლებიც ცუდ და ძალიან ნოტიოან ნიადაგზე დგანან.

ნაყოფი ნიადაგზე, რომელიც იმედია რომ კარგ მოსავლას მოიტანს, დიდი წვიმების შემდეგ, ახლათ ამოულო ბამბის მცენარეები ავთიეფობიან, ყნვის ფერს იღებენ და ნელ-ნელა იზღებინან: როდესაც ასე დამარულ მცენარეს გაშინჯავენ, შეამოწმებენ, აღმოჩნდება, რომ ნორჩი მცენარე იგალებდა და იტანჯება ტილებისაგან.

პირველი და ქვემოთი ღონის ძიება ამ ტილების გასაწყობათ არის კარგი მოვლა ბამბისა. მცენარისა გარშემო მიწა უნდა აჩიქნო და თუ კვლები, სადაც ბამბა თესია ძალიან გაბოხებული ან გასქვლებულია, მაშინ საჭიროა გამარგვლა. ზოგ-ზოგ ალაგას ეს მწერები უჩნდებათ ნორჩ მცენარეებს იმიტომ, რომ იმ ნიადაგში, სადაც ბამბა თესია, არ არის საკმაოდ ნო-

ყიერი ნაწილები, ესე იგი მიწა არ არის გასუქებული.

სადაც ბამბის დათესას აპირებენ, იქ უნდა დაეპარონ ნაცარი და თეთრი მიწა. ეს ძალიან ანაოყირებს ნიადაგს და შეგულის პატარა ბამბის მცენარებს გაზღაში, და უტეველად, თუ რომ ნაცარს წაყარიდნენ ახლად თვე ამოყოფილ ბამბას; იქნება ის შემავსებელი და ენების შემძენი მწერი—ტილი გაწყობილიყო. ამისთვის შეიძლება უჩრით ბამბის მოაყენალებს, რომ ხმელი ხის ნაცარი და თეთრი მიწა ერთმანერთში არეულები მოაყარონ ახლათ ამოსულ ბამბის მცენარეს: ეს ნიეთები უნდა მოაყარონ მაშინვე როგორც მოხნავენ; და მერმე გათონხნის დროს მიწაში გაურევა, გაასუქებს.

ჭია მჭრელი

ეს მწერი სიგით ერთი გოგია, მჭრალი, ტყვის ფერია. ეს ქია დაჭრება მიწაში, ნელ-ნელა დაცუკავს და დეხევეა ხოლმე მცენარეს მაშინვე, როგორც ამოვა, ამოსვლის დროს ეს ქია, ერთი თვის განმავლობაში, ძალიან ახდენს ბამბას, სჭამს ღეროებს, იმ ალაგას, სადაც ეს უწყურდება მიწას. ღეროებს გერალებს შეაკებრებს ხოლმე ასე, რომ მცენარე სახიარდება; ხანდახან კი სულ წმინდად მოაგდებინებს ხოლმე ღეროს, ამისთვის იმას უჩაად კარგი სახელი დარქვეს—ქია-მჭრელი.

მაგრამ ჩვენდა საყეთლოდ, ამ ქიის დასახოცავათ არის ძალიან კარგი საშუალება, რომელსაც კარგი შედეგები აქვს ხოლმე, უნდა მოხნათ იქ, სადაც ბლომათ და დიდ ღრუებზე მთესია ბამბა, ეს საშუალება ავრკიგათ ვერას ხდება.

ნაცარი ან კირი, ან ორივეს ნარევი, მიწას რომ მოაყაროს ისეთ ნაირათ გაანაოყირებს, რომ ძირელ მათე ამოვა ქიებისაგან გადარჩენილი მცენარეები და იმოღენათ განმარლიანებს ნიადაგს, რომ სულ ერთიანად გარეკავს იმ მანქნელ მწერებს, თუ ეს მწერები მთელ ნათესს მოედებინან, მაშინ ბამბის

პატრონმა უნდა იმოგოს იმოღენი ნაცარი და კირი, რომ მთელი ადგილი დაფაროს, ნიადაგის მოხენის დროს უნდა მუშა უყარ მისდევდეს გუთანს და ამ სასუქს აყრიდეს, ამას მიაყოლონ თხებები, რომლებიც სასუქს მიწაში გადაურევენ. ეს სასუქი მიწას მიწას ასუქებს, ამაზლიანებს, ქიას მარლისა ემინან და მაშინვე ჩვენი ქია-მჭრელი გაეშურება იმ ადგილიდან.

ჩრჩილი

ავისტოში, განსაკუთრებით დილით აღრე, ან საღამოთი, სვირნობის დროს მინდორში, სადაც ბამბა თესია, აქა იქ ნახავს გაშლილი ნაყოფს. მინდორის პატრონი, თუ კარგა დააკორდა, შენიშნავს ერთი მცენარისგან მეორეზე შეხედულაობით სრულებით უფენებელს, ჩრჩილს. რამდენიმე დღის შემდეგ სხვა და სხვა მინდორის ალაგას გაჩნდებათ ქიები, მაგრამ მაშინ იმათი ენება არ არის შესანიშნავი და პატრონს არაფერს არ აგრძნობინებს.

აქ ქიები რამდენიმე დღის შემდეგ თათქოს სულ ერთიანათ გაჭრებიან და პატრონს დარწმუნებენ, რომ იმას დიდა მოსავალი მოეკლის, მეზობლები მიულოცავენ ამისთანა მოსავლის პირს და თითონაც გულში იცინის.

მაგრამ დადგება საშინელი დღე, ის დღე როდესაც ბამბის მტრები მოედებენ მთელ მის დათესილ მინდორს. როდესაც ქია სრულებით გაიზლება, მაშინ პატრონმა უნდა გულ-ხელი დაიკრიფოს და შეეყუროს როდის გაანადგურებენ ბამბას მისი შეუწინაურებელი მტრები. ყოველი საშუალება, ყოველი ძალა, იმათ მოსასპობად სახმარებელიც უნდა იქნას, ამისთვის რომ აღუარცხელ მტრების ძალა დაუქმლევდეს. ქიები მილიონობით დათი მილიონობით უნდა სთავალ მცენარეებზე. თითოეული მცენარე, თითოეული ფოთელი საესე, დაფარული ჩრჩილით ფუთფუთობენ და სამი დღის განმავლობაში მთელი ნათესი, რომლისაც დიდი იმე-



დი ჰქონდა პატრონს, ისე გადასმოენ. რომ ერთი ფოთელიც აღარ დაჩნება. მომავალ წელ უნდა მეთედის ნაწილი ნათესისა აღარ მიიკრიბება.

ამ შტრანს დასაძლევლად მალე უნდა მოიღონ საშუალებანი. საქირაა როგორც გახნდება, მაშინვე შევებათ იმა ბრძოლაში და ვიხმართ ყოველი ხერხი, რომლისაგანაც საკმის წარმატებას მოველით. წინა პირველათ რომ გაჩნდება ეს ქია, ეგონება კაცს, რომ ეს ვერა უნებას ვერ მოუტანს, მაგრამ ესენი იბრატყებენ და ამიტომ მრავლდება რიცხვი ბაშის მტრებისა.

აღსწერათ დაწვრილებით ამ პეველას, რომ ბაშის პატრონმა, რომელიცა იმისი ცნობა არა აქვს, ერთის შეხედვით იცნოს და მოიხერხოს რამე იმის გასაძრეველად. ერთმა ვაჭარმა მცენარეების მომკლელმა პიტეულს რანის მახლოდვან, სადაც ჩრჩილმა — ქიამ ძალიან დიდი ზიანი მასცა მცენარეებით ნათეს, მამულებს ნადვლიათ აღწერა ეს მწერი, ამ აღწერით ყოველი გამოუცდილი მტერი შეიძლება აღმოაჩინოს იცნოს მტერი. ინტერესი კი არაა თანამდებობა.

აი როგორია ეს მწერი: პატარა რქებს, თუმცა რომ აქვს, აქვთ წვეტიანი ბოლო, სიბრტყელ ნახევარი გოჯი იქნებიან, მასადამე იმის სხეულზე ერთ ნახევრით მოკლე, რომლის (სხეულის) სიგამე არის გოჯი; გულის ქვემო ნაწილი არის მოთეთრო ფერისა; ფუთების ხედა მხარე და ზურგი სხვადასხვა ფერისა, აქეთ, მაქრამსაზოგადანთ კი რომელიღონ ოქრას ფერი ადევს და მჭრელებულთა ყანგის ფერით ფუთების ბოლო დრეიფით აქვს. ფუთაზე ზევიდან შუა ადგილზე თითო შავი ნიშნე აღევთ; თეთრები აქვს; წინა ფეხები უფრო გველი და წერხლი აქვს უკანაებზე; კუდი უზარალო აქვს, ვაჟი იგი გავშლილი, სიგამე მწერისა თავიდან კუდამდის არის ერთი გოჯის ტოლი. სიგამე კუდის ფუთების გაფარკეთის დროს ერთი გოჯი...
არის ორი საშუალება ამ მწერების გასაღწევლათ: ერთი მდგომარება იმაში, რომ

ჩრჩილი ვინემ კვერცხებს დასდებს უნდა გავადნოთ, და ამოგწყვიტოთ. მეორე იმაში რომ იმათ ბუდეები ვაბოენოთ და ამოგვლიტოთ. თუმცა მთელი ამ ჩრჩილის ცხოვრება დამოკიდებულია ბაშის მცენარეზე, რომელიც ცხელ ქვეყნებში უფრო არის, მაგრამ ამ მწერებს როგორც სხანს არ უყვარს სიცხე. ქუები იშვიათად დნაირებიან ხოლმე, თუ იმათ მშის სხელებით გახურებთ იმ დროს, როდესაც ისინი მცენარეებთან მცენარეზე ცოცხლებიან, პეველა კი უფრო დილით და საღამოთი გამოადის, მასასადამე სიცხე არ ჰყვარებიან. მცენარეებთან (Saxrelo) რაც შეიძლება აღრიანთ უნდა გაისტუმროთ მუშები მინდორში, აიღონ ხელში პატარა ნიხები; დამიკრიბენ და მწერიებულები წავიდნენ ცელებზე, სადაც სთესია ბაშა. ჩრჩილი ქია იმათ მოერიდება და ბუტქებიდან წამოიწყენ და მაშინ ძალიან აღულოთ დახრცამენ იმათ ნიხებითა.


მეორე საშუალება მდგომარება იმაში, რომ უნდა გავკეთონ შრევის, ვარდმუშის და თხელი თაფლის ერთმანერთში ახვეით მიმკრაველი ნიეთიერება. ეს უნდა გვაგლიონ ფიცარზე, ზეზე მიაკრან და მინდორში დასვან. ჩრჩილი ქია ამ ფიცარებს დაუხვეი, ზედ მიეკრება და დაიღუბება უჩრეველ გომოდლოთ კაცები კიდე იმას, რომ ბაშის მინდორში ცეცხლები ანთონ. ცეცხლს მიეტანება და შიგ ჩაიხრცებიან, აგრეთვე დაარქონ ბაირანი თეთრი ქალაღისა; მწერი მიეტანება, გავკეთებს ბუდეებს და კვერცხებს დასდებს.

არ უნა დაენდოთ ამ საშუალებებს, იმისთვის რომ ნაწილი მწერებისა ასდებენ ნიხების ქნევას და არ შივა ფიცრებთან. ჩვენდა საკეთილოდ ადგილები, სადაც ეს მანებელი მწერები დებენ კვერცხებს, ადგილი საზენელია. გაღორხნონ შუა ნაწილს ბაშის ფურცლისა და გადასწევენ ისეთ ნაირათ, რომ კვერცხები ჩალადვს. ამაში სდებენ ძალიან წყვილს კვერცხებს, რომლებიდანაც ათი დღის უკან გამოადან ქიები, კვერცხები გ

ხეულო ბაშის ქსელში. საცა ეს გადაწეწილი, მაგრებილი ღერიებაა. სხანს რომ იქ ჩრჩილია ჩაბუდეული და მცენარეებს დიდენება მიუღის და თუ პატრონი, სტანობის დროს მინდორში ნახავს ამ გვერებს ბლომით, მაშინვე უნდა გამოგზავნოს მინდორში ვინც კი ჰყავს მუშა ხალხი, და მოაძებნოს ამისთანა მცენარეები, შეკრიბონ ტომარებში და დასწვან.

შეუძლებელია მცირეთ სიქეს კაცმა, როდის და როგორ გამოჩნდება ეს ქია. ჩვეულებრივით მცირე ნაწილი ამ მწერებისა ცხადდება ადგილობრივ და მალე შეიძლება მათი გაწყობა თუ, რომ საშუალებებს ვიხმართ; დეცემიან ხოლმე ეს მწერები ბაშის სეკემბრის პირველ (ოქტომბრში) სადაც დიდი ადგილი უნდა დაარჩინონ ამ მტრებისაგან, უჩრეველ ამოგლიჯონ და დასწვან მთლად. ეს მცენარეები, რომელსადაც გამოჩნდებიან ეს ქიები, ამ ზომიერებით მწერებს კარგათ შეამკრიბენ, თუ არ სრულებით არ გასწვვიტონ. სიგამე მტრებისაგან იღრისა შესანიშნავათ, ერთი ამ მწერების ჩამომავლობათაგანი როგორ ხდება თავიანთი თავის დაღუბის მიხედვით — ისე საშინლად ილუბებიან, რომ ერთიც აღარა ჩნდება ცოცხალი.

პირველათ გამოჩენილი მწერები ზდებენ კვერცხებს და იხრცებიან. ეს კვერცხები ათი დღის განმავლობაში ქიებთ იქვეიან და სკამენ ფურცელს, რომელსადაც გამოვიდნენ, ჩქარა იხრცებიან, სკამენ მთლათ მცენარეს და გადადიან მეორეზე. მაგრამ სიცოცხლე ამ პატარა მწერებისა საჩქაროდ მიფრინავს; ქია ბოლო და ბოლოს დილაღება, ევლარ შეიძლებს წახნენს, ამოიჩრცეს თავისთენ ფურცლებს, შეიხვევა პარკის მსგავსად და კვდება. თეთიული პარკიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოადის პეველა, რომელიც ზდებს კვერცხებს, და ამ კვერცხებიდან გამოადან ის დაუთქმელი რიცხვი ქიებისა, რომლებიც ახლენენ მოსავალს. მაგრამ იმათი სიბერე და ხარობა იმდენათ არის იმათის



მეწეველი, რამდენათაც მოსავალისთვის. ისი
 ი სულ ერთიანად ახდენენ მცენარეს; მარ-
 ტო ცარიელი ღეროდა რჩება. ასე რომ პარ-
 ცის გასაკეთებლად და იმის შესაფარებლათ
 აღარა რჩებთ ადგილი, თუნდაც, რომ რა-
 გორამ რამდენიმე პეველა გამოვიდეს პარკე-
 ზიდგან, იმ პევის თენ, რომლებიც გამოდიან
 პეველების კვერცხებიდან, აღარ ექნება სა-
 ჭმელი, რადგან ეს შწერები იყვებებიან მხო-
 ლოდ ბამბის მცენარით. როდესაც მთელ
 მინდორს მოაძოვენ, ისინი შეუღებებიან გზას
 საჭმელის საზოგადოებო, მაგრამ პირველივე
 ლაბე, ან არხი აყენებს იმათ მოგზაურობას.
 მზე ხოცავს იმათ, ფრინველები მკენკვენ,
 ერთი ურმის გოგორა მილიონობით ხოცავს,
 ასე რომ ორის დღის განმავლობაში შემდეგ
 მცენარეულობის აზრებისა, ერთი ამაოხრე-
 ზელთაგანაც აღარა რჩება ცოცხალი. ისე
 ილუპებიან ისინი, როგორც ოდესმე დაილუ-
 პნენ ფარაონის მხედრები წითელ ზღვაში.

სამართლის წიგნის განმარ- ტება.

94. (1645) როდესაც ბეკნი წავლენ საქურ-
 დაგთ, დამწეპნი ანუ თავნი ამ ქურდობის და-
 სჯების:

ჩამორთმევით ყოველივე ღირსებისა და
 გავზენით სიბირის შორ ადგილებში დასა-
 სახლებლად. ხოლო დანაშთენები დასჯე-
 ბიან:

95. (1647) ვინც მოასდინა ქურდობა გატე-
 სით იმ ადგილის, საიდანაც მოაზარეს ის და-
 ისჯება:

ჩამორთმევით ყოველის ღირსებისა და გავ-
 გზენით სიბირში დასასახლებლად.

96. (1648) ვინც მოაზარეს დაკეტულს წა-
 ღუეს, თუ ვოლოფს და სხვა რამეს, სადაც შე-
 ნახულია რამე ჭინკა; ანუ გააღებენ ამით წინეთ
 შიამსადებულს, ანუ მოაზარულს განადებებით,
 ანუ ლუსმანით, ანუ სხვა რამით, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველის ღირსებისა და გავზე-
 ნით სიბირში დასასახლებლად.

97. (165) როდესაც ქურდს ქურდობის დროს
 თან ჭინკა, რამე დარდი, რომლითაც შეკლთ
 კაცი მოკლა, ანუ დაჭრა, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავზე-
 ნით სიბირში დასასახლებლად.

98. (1658) ვინც რომ მოაზარეს, რამე
 ოფიციალურს ქაღალდებს საქმეებიდან, რომელიც
 ეკუთვნის სულს. ანუ სხვა მართებლობის ადგილს,
 თუ გინდა რომ ეს საქმეები დროებით იყოს გა-
 რეშე გაცნოს ხელში, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავ-
 გზენით სიბირში დასასახლებლად.

99. (1662) ვინც რომ მისტეშს ბინას ქურდს.
 ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავ-
 გზენით სიბირში დასასახლებლად.

შენიშვნა. გარდა ამ სასჯელისა ქურდს,
 თუ აქვს შეღებვა გადახდება ნაპარავის ფასი
 და მიეცემა იმას, ვისაც მოპარეს.

100. (1666) ვინც რომ მოტყუებით წა-
 ანთმეგს ვისმეს ფულს, ანუ რამე ნივთს დარე-
 ბულს სამს მანეთზე სეუთი, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველის ღირსებისა და გავზე-
 ნით სიბირში დასასახლებლად.

შენიშვნა. გარდა ამ სასჯელისა დამაშა-
 ვის გადახდება ყოველი ზარალი, რომელიც
 მისცა იმას, ვინც მოატყუა.

101. (1677) ვინც რომ შეადგენს უკანონო
 ქაღალდს, ანუ ფულზე აჭტს, ანუ საბუთებს, იმ
 განსწავლით, რომ მიითვლიეს სხვისი უძრავი სე-
 კუთრება, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველის ღირსებისა და გავზე-
 ნით სიბირში დასასახლებლად.

102. (1686) ვინც რომ ძალდატანებით, ანუ
 შეშინებით, დააწინებს ანუ ხელს მოაწინებს
 იმ ქაღალდზე, რომელიც განდის დამწერს,
 ანუ ხელის მოაწერს თვის მოკალეთ, ანუ
 აადგინებს ხელს მამულზე, ანუ სხვა რამე
 ეკუთვნილებაზე თავის სისწრეებლად, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავ-
 გზენით სიბირში დასასახლებლად.

103. (1689) ვინც რომ ისარგებლოს სხვის
 განონის უცოდინარობით, ანუ მიერე წალოწობით
 და გამოხტუეებს ამით რამეს, ის დაისჯება:
 დატუსალებით საპრობილეში ოთხის თე-
 დამ რვა თეშდის.

104. (1691) ვინც შეადგენს ფულზე ანდერძს,
 ანუ სხვა რამე ქაღალდს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავ-
 გზენით სიბირში დასასახლებლად.

105. (1699) ვინც რომ რამე მამულს, უგუ-
 გუიფულს, გუიფის მეორედ, იმას გადასდება იმ
 გუიფული მამულის ფასი და ყოველი ზარალი,
 რაც ამ გუიფით მოსდა; გარდა ამის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავ-
 გზენით სიბირში დასასახლებლად.

106. (1700) ვინც რომ გუიფის იმ მამულს,
 რომელიც მართებლობასგან დაგუგულოა, ანუ
 ანუკაში არის შეტანილი და შეიფუკლს ნახუილი-
 ბითი წერილს დაუმალავს, ანუ იმა ყოველს გა-
 რემოკას, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავ-
 გზენით სიბირის შორს ადგილებში დასა-
 სახლებლად.

გარდა ამისა გადახდება მას ყოველი ზა-
 რალი სასარგებლოდ იმისა, ვისაც ამ ბორო-
 ტის მოქმედებით ზარალი მოუვიდა.

17. (1702) ვინც რომ გუიფის რამე უძრავ
 ადგილს, და იცის, რომ გამოედგულს არ ჭინკა
 ნება იმის გუიფისა, რადგანაც არ იყო მისი სე-
 კუთრება და არც ვისგანმე რქუნება ჭინკა იმის
 გუიფისა, ან შესუიფისა ვისგანმე რამე ნივთის
 იცის, რომ ეს ნივთი ან მოაზრულია, ან წარმე-
 ულია, ის დაისჯება, როგორც თანა მოზარე ქურ-
 დობის, ანუ უკანონო გუიფისა სხვისის მ
 თენილების.

107. (1703) ვინც რომ იუიფის რამეს მიერე
 წალოკანისგან, უთანსხოდ მისის უატრანის,
 ის დაისჯება:

დატუსალებით ორიდან ოთხ თეშდის, და
 ვალდებულია დაუბრუნოს ყოველი ნაყიდ
 უფასოდ.

საქართველო
საგარეო
და
საშინაო
და
საზღვრის
და
საგადასაზღვრის
და
საინტერესო

109. (1704) ვინც განზრახვით გაუფოტკეს ანუ დაჯარჯეს იმ ნივთს, რომელიც მას ქქონდა მამარბუღი, ანუ დროებითად სასარგებლოდ მიტოვებული, ის დაისჯება:
იმ უმადღისის სახელით, რომლითაც დაისჯება ის, ვინც სხვის კუთვნილებას მისაზრობს, ანუ გააფუტკებს.

110. (1705) ვინც სიადუმილოთ დაგვირგვინებს იმ უძრავ მიწას, რომელიც უფრო დაგვირგვინებულია, ანუ მისცემს გიარათ სხვის კუთვნილებას რომელიც უფროა, ვიდრე თანაობისა და აქვს ნება; ანუ დაგვირგვინებს თავის საკუთრებას, რომელიც მართლაც უფროა დაკარგულია, ანუ აწყობს; ანუ სახაბრს გამოსატყუარს რაიმე ნივთს დაგვირგვინებს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავხანით სიბირში დასასახლებლათ.
ვინც რომ ამ გვარ საკუთრებას მიიღებს გიარათ, ის დაისჯება როგორც ქურდობით თანამოწიარე.

111. (1706) ვინც რომ განზრახვით დაჯარჯეს იმ ნივთს, რომელიც მას გიარათ ქქონდა მიტოვებული, ანუ შიჯავს რაიმე ნაწილს და იმითი იმ ნივთს ფასს მოაკლდეს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავხანით სიბირში დასასახლებლათ.

112. (1707) ვინც რომ გაასესხეს ფულს და იღებს სარგებელს უმეტეს იმისა რაც, განისათ არა გადაწყვეტილი, ის დაისჯება:

პირველ შემთხვევაში გადახდით სამი იმოდენა ფულისა, რაც სარგებლათ აქვს მიღებული.
მეორე შემთხვევაში, გარდა ამ გარდახდისა დატუსაღებით სამი კვირიდან სამს თვემდის.
მესამედ გარდა ამ გადახდისა დატუსაღებით საპრობილემში რვა თვიდან თექვსმეტ თვემდის.

113. (1708) ვინც მიიღებს სწავლისთვის განსაკუთრებით ნ სასქემოაო იარაღს, ან ტანსაცმის, ან მის გადასჯება გარდა იმისა რომ ყოველს მიუხედავად გიარათ გამოართმევენ უფასოდ, კიდეც

განადსაჯონს სამს იმოდენს ფასს, როგორც ეს ნივთები ღირდა.

114 (1709) ის ვეძილი, რომელიც დაჯარჯავს იმ რწმუნებაზე, რომელიც მას აქვს მიტოვებული ანუ მიკუმრება თავის მიწმუნებულს წინააღმდეგ პირს და მითი უზარადას თავის მიწმუნებულს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავხანით სიბირში დასასახლებლათ.

115. (1710) რომელიც ვეძილი უწმუნებს რაიმე ქადაგებობას საბუთებს თავის მიწმუნებულს წინააღმდეგ პირს, და ამითი შეიყვისს უზარადას თავის მიწმუნებულს, ის დაისჯება:

დატუსაღებით საპრობილემში ორიდან რვა თვემდის.

და როდესაც ვეძილი ამ ნიარ ქვეყნისათვის მიიღო ჯილდო, ანუ სხვა რაიმე უკანონო განზრახვა ჰქონდა, მაშინ ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავხანით სიბირში დასასახლებლათ.

გარდა ამისა გადახდება მას ყოველი ზარალი.

116. (1711) ვეძილი, რომელიც ბორცობის განზრახვით მოსწავს, ანუ გაათუჭებს იმ საბუთებს, რომელიც მას ქქონდა მინდობილი გარდა ამისა იმ ნივთებს, რომელიც მას ქქონდა მინდობილი მითივსებებს, ანუ დაძაჯეს, ანუ გაასწავს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავხანით სიბირში დასასახლებლათ.

დასჯებები პირველი.

ჩვენ შემთხვევაში ვინც სხვა და სხვა დაწამულობისათვის გაუწმუნებს მსაჯული დამწამულს სხვა და სხვა სასჯელს. მაგალითად რამე დაწამულობისათვის დაუწმუნებს დამწამულს დატუსაღებას ოთხიდან რვა თვემდის, ან გავხანა კატორღაში ათიდან თორმეტ წლამდის, ან გადახდით ასიდან ორას მანეთამდის. ეს ნიშნავს იმას, რომ მსაჯულს აქვს ნება ამა და ამ დაწამულობისათვის

განუწმუნოს დამწამულს სასჯელი არა ნაკლები, ანუ არა უმეტესი იმისა, რაც ზევით მოყვანილია. მას შეუძლიან, რომ დაუწმუნოს საწავალი ვადა. მაგალითად; ვინც გაპარცვამს ეკლესიას და არ შეგებება სიწმინდეს, ის დაისჯება, ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გავხანით კატორღაში სამუშაოთ ათიდან თორმეტ წლამდის. ეს ნიშნავს იმას, რომ მსაჯულს არა აქვს ნება ამ შეტომისათვის განუწმუნოს ნაკლებ ათის წლისა. მას შეუძლიან განუწმუნოს ათ წელიწად ნახევარი, თერთმეტი და სხვა, ესე თორმეტ წლამდის ამ გვარ სჯულის დებულება წარმოადგა იქიდან, რომ დაწამულობის დროს სხვა და სხვა შემთხვევები იქნებოდა, რომელიც ან გამომიბენ დაწამულობას და მასთანვე სასჯელსაც, და ან წამამტუტებენ დაწამულობას და მასთან სასჯელსაც. ამგვარათ კანონი ჰყოფს ამ შემთხვევებს ორ გვართ: დამამიბებელ შემთხვევებათ და წამამტუტებელ გარემოებაებათ:


გავხანავთ რაში მდგომარეობენ ეს გარემოებანი.

(120) დამამიბებელი გარემოებანი არიან:
1. რამოდენიც რომ საფუძელიანი მოფიტვებული იქნება ბორცობა-მოქმედება.
2. რამოდენათაც უფრო მაღალი ხარისხის იყო; უფრო ნასწავლანი.
3. რამოდენათაც უფრო მომეტებული ბორცობა განზრახულემა იყო დაწამულობაში.
4. რამოდენათაც უფრო ბევრი პირი გაიხიდა დაწამულობაში.
5. რამოდენათაც მომეტებული მცადანეობა იხიარა, რომ ყოველი დაბრკოლება მოესპო.

6. რამოდენათაც უფრო მომეტებული ძალია, ანუ რაიმე საზიზღარი საშუალება იყო ნახმარი ბორცობა-მოქმედების დროს.

7. რამოდენათაც უფრო საწმინდარი იყო ის, რაც წარმოადგებოდა ბორცობა-მოქმედებისაგან როგორც შესახებ ერთის კაცისა, ისე საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის.

8. რამოდენათაც პირველ გამოძიების



პროსადამნაშავე სტილოზდა, რომ დეფუ-
რა თავისი ბოროტ მოქმედება; ანუ ცდილობ-
და გარდა ეინმე ამ ბოროტ მოქმედებაში,
რომელიც სრულიად უბრალო იყო.
9. როდესაც დამნაშავე შემდეგ პირველი-
სადასჯისა კიდევ შევა იმნაირ დანაშაულო-
ბაში, რომელიც პირველი იყო; ანუ შევა
დანაშაულობაში, რომელსაც პირველი ნაპა-
ტიები ჰქონდა ანუ მანიფესტით; ანუ ხელ-
მწიფის მოწყალეებით.

(134) გაგრძელების; რომელიც შემსუფუქვენ
დასაშუალოს და უფრო მისთანავე სსუქლსადა;
1. როდესაც დამნაშავე გამოცხადდება
დანაშაულობის შემდეგ სულში, ანუ რამე
სხვა სასამართლოში, და გულ წრფელთა გა-
მომაცხადებს თავის ბოროტ მოქმედებას.

2. ვინც რომ დაუყონებლივ გამოაცხა-
დებს იმ თანამოზიარებს, რომელნიც მისთან-
ერ იყვნენ დანაშაულობაში.

3. როდესაც ვინმე მოახდინა დანაშაუ-
ლობა უცოდინარობით, სიბრძნევით, ანუ
სხვებზე შეტონით შეიყვანეს ბოროტ მოქ-
მედებაში.

4. როდესაც დანაშაულობა მოუხდა ვინმეს
იმით, რომ მას აწყენინეს; ანუ გააჯაერეს
და სიფიცებში მოახდინა დანაშაულობა.

5. ვინც რომ შეგონებით, ანუ ბრძანებით
უფროსთა პირთა იყო შეყვანილი შეტო-
მილებში.

6. როდესაც ბოროტ მოქმედების დროს
იგრძნო სინანული და აღარ მოიყვანა სის-
რულეში თავისი განზრახვა; განსაკუთრებით
მამინ, როდესაც სხვები დააკავე ბოროტ
მოქმედებისაგან.

7. როდესაც ბოროტ მოქმედი პირი ცდი-
ლობდა, რომ გარდა ერთის ბოროტ მოქმე-
დებისა სხვა არა დერი მომხდარიყო და ცდი-
ლობდა, რომ დაეჯილოებინა ის ზარალი,
რომელიც მიეცა ვისმე მისის ბოროტ მოქ-
მედებით.

8. მცირე წლოვანობა დამნაშავისა.

9. მცირე წლოვანები, რომელნიც არიან
შვილის წლის მეტი და ათას წლის ნაკლე-
ბი, არ დასჯებიან იმ სასჯელებით, რო-
მელნიც კანონში არიან მოხეცნებული;
ისინი მიეცებიან ანუ მშობლებს ანუ კათილ-
საიმელო ნათესავებს გასაზრდელათ და შესა-
გონებლად, ეს კანონი შეეხებოდ იმათაც,
რომელნიც არიან ათიდან უფრომეტაღის
წლისა და როდესაც სამსაჯულო იცნობს მთ-
უფრუხრად და გაუგებლად.

(138) სასჯელის, რომელიც მიეცემა ან მცირე
წლოვანებს; რომელიც ყველა ათიდან თოთხმეტ
წლამდის;

1. იმ დანაშაულობისათვის, რომლისა
თვის უფროსნი დასჯებიან ჩამოხდით ყოვე-
ლივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში
სამუშაოთ. მცირე წლოვანები დასჯებიან:

1. ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგ-
ზავნით სიმბირში დასასხლებლათ.

2. იმ დანაშაულობისათვის, რომლისათვის
საც უფროსნი დასჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და
გაგზავნით სიმბირში დასასხლებლად. მცირე
წლოვანები დასჯებიან დატუსალებით.

მომავალ 1873 წელს

«ღრობება»

გამოვა თავის ძეგლებური პროგრამისა და მიმართულების
შეუცვლელად, და იბ-
ვე თანამშრომელების დახმარებით, რომელნიც წარსულ წლებში
იღებდნენ გაზეთში მი-
ნაწილეობას.

მიიღება — თიფლისში — «ღრობების» რედაქციის განკარგა-
ზე; ბებუთავის სახლში, სადაც ლუბილერის (გ. წერეთლის და კამ.) სტამბა იმყოფება.
ქუთაისში — გურჯაანის ქალაქის დასახლებულნი და სიმონ მცხეთისა.
სიღნაღს — რაჭა დევიდოვილით, თეატრს — თ. ლეგოვიანს და იტონს
უგრაულს და ლავროვს — დ. მარჯანოვთან, ასევე სხვებს — ნ. დგობუაძეს
თან, ონს — კ. კლდიაშვილით, ფოთს — ს. ანუწიკოვთან, ყვირაღას — დ. მ-
ბაშვილით, სონს — გ. ჩიქოვანთან და ახურგეთს — მელიტონ დობოშვილთან.
ქალაქს გარემო მცხოვრებთა აგრეთვე შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაბარონ გა-
ზეთი: Вь Тифлисѣ, Вь редакцію газеты «ВРЕМЯ».

ხელმძღვანელი ფასი

ერთი წლისა	—	—	—	—	—
ნახევარის წლისა	—	—	—	—	—
სამის თვისა	—	—	—	—	—
ერთის თვისა	—	—	—	—	—

გაგზავნით,		გაგზავნა	
მან.	კაზ.	მან.	კაზ.
6	»	5	»
3	»	2	50
1	75	1	50
»	60	»	50

ახალ ხელის-მომწერლებს უმოპოვოსად ეთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწ-
რილი გამოვიგზავნონ და აგრეთვე შეგატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებლად
აღვიღს გამოიცვლიან.
ეთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერის ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათვის
მოგივებდნენ.

რედაქტორი და გამომცემელი სერგეი მესხი.